სტუდენტური პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში:

გზამკვლევი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პრაქტიკის მიმღები სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის

ავტორი: ნინო ალელიშვილი

@ გაეროს ბავშვთა ფონდი
2022

unicef
for every child

სტუდენტური პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში:

გზამკვლევი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პრაქტიკის მიმღები სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის

წინასიტყვაობა

წინამდებარე გზამკვლევი გამიზნულია უნივერსიტეტებისა და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის. გზამკვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს სკოლამდელი განათლების საბაკალავრო სტუდენტების პრაქტიკის ორგანიზებასა და ხარისხიანად წარმართვას. გზამკვლევი შემუშავდა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეწყვეტილია სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამების განხორციელება. 2017 წლიდან უნივერსიტეტებში ახალი საბაკალავრო პროგრამების შემუშავების მხარდასაჭერად სხვადასხვა ღონისძიება განხორციელდა, მათ შორის - გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, სკოლამდელი განათლების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის/ სტაჟირების კომპონენტი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 40 ECTS კრედიტს, შესაბამისად, სტუდენტურ პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება საბაკალავრო სწავლებისას და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება მისი ორგანიზება ისე, რომ სტუდენტის მრავალმხრივი კომპეტენციების განვითარებას უწყობდეს ხელს. პრაქტიკის ხარისხიანად წარმართვის ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა წინამდებარე გზამკვლევი, რომელსაც საფუძვლად უდევს 2020 წელს ბათუმის სეზონური სკოლის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგად შექმნილი გზამკვლევის სტრუქტურა. გზამკვლევის სამუშაო ვერსიის განხილვა მოხდა ცხრა სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების მიმართულებით მომუშავე აკადემიურ პერსონალთან ერთად, რომელთა მოსაზრებების გათვალისწინება გზამკვლევის შემუშავების ბოლო ეტაპზე მოხდა.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

გზამკვლევის მიზნები 8

გზამკვლევის გამოყენება 9

გზამკვლევის სტრუქტურა 10

თავი 1. პრაქტიკის მნიშვნელობა და მიზანი 11

პრაქტიკის ფორმები 14

თავი 2 . პრაქტიკაში ჩართული მხარეები 16

პრაქტიკაში ჩართული მხარეების მოტივაცია და პროფესიული განვითარება 18

თავი 3. პრაქტიკის დაგეგმვა 21

პრაქტიკის განხორციელების ადგილი 25

თავი 4. პრაქტიკის ჩატარება, რეფლექსია და შეფასება 28

რეფლექსია 30

პრაქტიკის შეფასება 31

გამოყენებული ლიტერატურა 34

გზამკვლევის მიზნები

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სტუდენტური პრაქტიკის გზამკვლევი წარმოადგენს *სახეკომენდაციო* ხასიათის რესურსს, რომლის მიზანია:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელისშეწყობა სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის წარმატებით დაგეგმვაში, ჩატარებასა და შეფასებაში;
- სტუდენტების მხარდაჭერა პრაქტიკის კომპონენტის ეფექტურად დაძლევაში;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მხარდაჭერა პრაქტიკის ორგანიზებისა და უმაღლეს სასწავლებლებთან და სტუდენტებთან თანამშრომლობის პროცესში;
- პრაქტიკის პროცესში ჩართული თითოეული მხარისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის პრაქტიკის მნიშვნელობის, ეტაპების, მიზნების, მიმდინარეობის აღწერა;
- პრაქტიკაში მონაწილე მხარეების როლისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

გზამკვლევის გამოყენება

გზამკვლევი განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სტუდენტების ან ამ მიმართულებით სწავლის მსურველებისთვის, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ადმინისტრაციისა და პედაგოგებისთვის, იმ ბავშვების მშობლებისთვის, რომლებიც დადიან პრაქტიკანტების მიმღებ დაწესებულებაში, და ამ სფეროთი დაინტერესებული თითოეული პირისთვის.

გზამკვლევი *სახეკომენდაციო* ხასიათისაა, თუმცა სურვილის შემთხვევაში ის შეიძლება დამტკიცდეს ან ჯერ მოდიფიცირდეს უნივერსიტეტის მიერ და შემდგომ დამტკიცდეს როგორც საბაკალავრო პროგრამის დანართი და/ან დაწესებულების (როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ისე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ან სხვა ტიპის დაწესებულების) შიდა დოკუმენტი.

გზამკვლევის სტრუქტურა

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სტუდენტური პრაქტიკის გზამკვლევი შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან შედგება:

- **პრაქტიკის მნიშვნელობა და მიზანი** - რას გულისხმობს სტუდენტური პრაქტიკა, რატომაა ის მნიშვნელოვანი; რა პრინციპები უდევს პრაქტიკას საფუძვლად; პრაქტიკის ფორმების მიმოხილვა;
- **პრაქტიკაში ჩართული მხარეები** - რომელი მხარეებია ჩართული პრაქტიკაში და რა არის მათი ფუნქცია და როლი პრაქტიკის პროცესში; პროფესიული განვითარების საკითხები;
- **პრაქტიკის დაგეგმვა** - რა ეტაპებისგან შედგება დაგეგმვის პროცესი, როგორ უნდა დაიგეგმოს პრაქტიკა, ვინ უნდა იყოს ჩართული პრაქტიკის დაგეგმვის პროცესში და ა.შ.;
- **პრაქტიკის ჩატარება, რეფლექსია და შეფასება** - როგორია პრაქტიკის განხორციელების პროცესი, ამოცანები, რომლებიც შეიძლება ამ ეტაპზე წარმოიშვას, და მათთან გამკლავების გზები; რეფლექსიის ეტაპის მიმოხილვა; პრაქტიკის შეფასების პროცესის აღწერა; ამ ეტაპზე ჩართული მხარეების საქმიანობების აღწერა.

თავი 1

პრაქტიკის მნიშვნელობა და მიზანი

როგორც საერთაშორისო გამოცდილებითა და კვლევებით დასტურდება, პრაქტიკა უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამებში, რაც ასევე ხაზგასმულია სკოლამდელი განათლების დარგობრივ მახასიათებელშიც: „სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების პროგრამების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა, რომელიც მოიაზრებს პროგრამის მიმდინარეობასთან ერთად მზარდი პასუხისმგებლობით ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში პრაქტიკულ მუშაობას“ („სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; თბილისი, საქართველო, 2020). პრაქტიკის კომპონენტის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტებს, სუპერვიზიის ფარგლებში სწავლა-სწავლებისა და დაკვირვების გზით მოახერხონ თეორიული იდეების გააზრება, პრაქტიკაში გადატანა და ერთმანეთთან დააკავშირონ და გაერთიანონ ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული თეორიები და პრაქტიკული საქმიანობა.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, სწავლება, ინტელექტუალური და მორალური მცდელობა და უპირველესი მექანიზმია საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის მისაღწევად. სწორედ ამიტომ, სტუდენტებს სკოლამდელი განათლების მიმართულებით უნდა მივაწოდოთ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რათა მათ შეძლონ მუშაობა საგანმანათლებლო თანასწორობისთვის და ხელი შეუწყონ ფუნდამენტური დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, პრაქტიკა, რომელსაც

სტუდენტი გადის, კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტია, მისი პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის მრავალფეროვან საზოგადოებაში.

განვიხილოთ ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სკოლამდელი განათლების პროგრამების პრაქტიკის კომპონენტი:

- პრაქტიკა სპეციალისტის მომზადების საფუძველია, სადაც თეორიული (სალექციო) და პრაქტიკული საქმიანობების ურთიერთდაკავშირება ხდება;
- პრაქტიკის დროს სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება ისწავლონ და იმუშაონ მრავალფეროვან გარემოში: შეიძინონ გამოცდილება განსხვავებული ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ასევე სხვადასხვა ასაკის (0-დან 7 წლამდე), სქესისა და შესაძლებლობების ბავშვებთან მუშაობისას;
- პრაქტიკა უნდა იყოს თანმიმდევრული, რათა სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდეს დააკვირდეს ბავშვზე ზრუნვისა და განათლების მხარდაჭერის პროცესს, სწავლების სხვადასხვა ფორმას, მიდგომას, მეთოდს და თანდათან შეძლოს თეორიული ცოდნის გამოყენება და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება;
- პრაქტიკამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტებში ზრუნვისა და განათლების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების - მათ შორის ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- პრაქტიკის გავლისას სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაიღრმავოს ცოდნა და განივითაროს უნარ-ჩვევები შემდეგი მიმართულებებით: ბავშვის განვითარების მახასიათებლები, სწავლა/სწავლების სხვადასხვა სტრატეგია, ბავშვებთან კომუნიკაცია, მუშაობა ბავშვების დიდ და მცირე ჯგუფებთან, ასევე - ინდივიდუალურად, მშობლებთან, და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობის სტრატეგიები; უნდა შეეძლოს: სოციალურად მრავალფეროვან გარემოში მუშაობა, დემოკრატიული და ინკლუზიური მიდგომების გამოყენება, ბავშვზე დაკვირვება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება, ბავშვების საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, რეფლექსია, სხვადასხვა

ტიპის ბავშვზე მორგებული ღონისძიებების ორგანიზება, საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

- ზედმიწევნით ყურადღებით უნდა შეირჩეს ის დაწესებულება, რომელშიც სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას; შერჩევა უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია ამ დაწესებულებას იყოს კარგი მაგალითი და ეფექტურად ასწავლოს სტუდენტს. ამ დაწესებულების ძირითადი ხედვა და ღირებულებები უნდა ემთხვეოდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კონკრეტულად სკოლამდელი განათლების პროგრამის ხედვასა და ღირებულებებს; მნიშვნელოვანია, დაწესებულება იზიარებდეს იმ ფუნდამენტურ მიდგომებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სკოლამდელ განათლებას, მაგ.: ბავშვთა უფლებების დაცვა, პოზიტიური საგანმანათლებლო გარემო და ა.შ.;
- პრაქტიკანტების მიმღები დაწესებულების ხელმძღვანელები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პრაქტიკის მენტორები უნდა იყვნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული პარტნიორები და მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ კონკრეტული ფაკულტეტის/პროგრამის პერსონალთან, რათა ერთად შექმნან მრავალფეროვანი და ეფექტური პრაქტიკისთვის საჭირო გარემო;
- პრაქტიკამ უნდა მისცეს სტუდენტს მიღებული ცოდნის რეალურ სამუშაო გარემოში გამოცდისა და შეძენილი კომპეტენციების კიდევ უფრო დახვეწისა და განავითარების შესაძლებლობა.

ამ პრინციპების გათვალისწინება დაეხმარება პრაქტიკის პროცესში ჩართულ თითოეულ მხარეს როგორც პრაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე შეფასების ეტაპზეც.

პრაქტიკის ფორმები

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პროფესიული პრაქტიკის სამი ტიპის გამოყენება შეიძლება - **დაკვირვებითი, მონაწილეობითი და აქტიური პრაქტიკა**;

დაკვირვებითი პრაქტიკის შემთხვევაში სტუდენტი პასიურია, აკვირდება დაწესებულებაში/ჯგუფში მიმდინარე პროცესებს, აკეთებს ჩანაწერებს.

მონაწილეობითი პრაქტიკის შემთხვევაში სტუდენტი მენტორთან ერთად ერთვება ინდივიდუალურ თუ მცირე ჯგუფებთან განსახორციელებელ მარტივ აქტივობებში.

აქტიური პრაქტიკის შემთხვევაში სტუდენტი მენტორის სუპერვიზიის ქვეშ უკვე თავად წარმართავს საგანმანათლებლო პროცესს, გეგმავს და ახორციელებს აქტივობას/აქტივობებს როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე და დიდ ჯგუფებში. აქტიური პრაქტიკის პროცესში მნიშვნელოვანია სტუდენტის როლისა და ჩართულობის თანდათანობითი ზრდა - თუ თავდაპირველად სტუდენტი მხოლოდ მცირე აქტივობებს გეგმავს და ახორციელებს, საბაკალავრო კურსის ბოლოს მას უკვე უნდა შეეძლოს საგანმანათლებლო პროცესის სრულად დაგეგმვა და განხორციელება: მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება, მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელება და ა.შ.

რეკომენდებულია, პრაქტიკანტმა ერთი საგნის სილაბუსის ფარგლებში თანმიმდევრობით განახორციელოს პრაქტიკის ეს სამი ეტაპი, თუმცა შესაძლებელია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაკვირვებითი პრაქტიკის შემდეგ პირდაპირ აქტიური პრაქტიკის ეტაპი დაიწყოს ან გარკვეულ დროს (მაგ., საბაკალავრო სწავლის ბოლო წელს) სტუდენტი მხოლოდ აქტიური პრაქტიკის განხორციელებაში იყოს ჩართული.

ის, თუ რა ტიპის პრაქტიკა უნდა გაიაროს სტუდენტმა, რა თანმიმდევრობით ან რა სიხშირით, გამომდინარეობს საგნების შინაარსიდან და მიზნებიდან, შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი, კერძოდ - სილაბუსის ავტორი, პროგრამის ხელმძღვანელებთან და შესაბამის დეპარტამენტთან შეთანხმებით.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის შექმნის ეტაპზევე გაითვალისწინოს პრაქტიკის კომპონენტის მნიშვნელობა და პრაქტიკის წილი ნათლად და მკაფიოდ ასახოს ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

თავი 2

პრაქტიკაში ჩართული მხარეები

სტუდენტური პრაქტიკა ძალზე კომპლექსური პროცესია, ამიტომაც მასში მრავალი მხარეა პირდაპირ თუ ირიბად ჩართული; მნიშვნელოვანია, თითოეულმა მხარემ კარგად შეიგნოს მისი როლი და ფუნქციები; პრაქტიკის წარმატებით განსახორციელებლად გადამწყვეტია, რომ შედგეს მჭიდრო თანამშრომლობა ყველა იმ ინდივიდსა თუ დაწესებულებას შორის, რომლებიც ჩართულები არიან პრაქტიკის ციკლში.

ქვემოთ ჩამოთვლილია პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეები:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია - იმ დაწესებულების ადმინისტრაცია - რექტორატი, დეკანატი და ა.შ., რომელშიც სწავლობს სტუდენტი სკოლამდელი განათლების მიმართულებით;

კურსის ხელმძღვანელი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში როგორც სილაბუსის ავტორი და წარმართავს კონკრეტულ სასწავლო კურსს;

პრაქტიკის კოორდინატორი (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის კომპონენტის ტექნიკური ნაწილის კოორდინირებაზე;

სტუდენტი - პირი, რომელიც ირიცხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბაგა-ბაღების მუნიციპალური გაერთიანება/სააგენტო - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებაზე;

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება/ ადმინისტრაცია - საჯარო ან კერძო, 0-7 წლამდე ბავშვებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო დაწესებულება;

პრაქტიკის სუპერვაიზორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის კომპონენტის შინაარსობრივი ნაწილის კოორდინირებაზე;

რეკომენდებულია, პრაქტიკის სუპერვაიზორი იყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების იმ დაწესებულების წარმომადგენელი, სადაც სტუდენტებმა უნდა გაიარონ პრაქტიკა, ეს შეიძლება იყოს, მაგ., დაწესებულების მეთოდისტი, რომელიც ამავდროულად იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელიც. უმაღლეს სასწავლებელს შესაძლოა ჰყავდეს პრაქტიკის რამდენიმე სუპერვაიზორიც - ეს დამოკიდებულია საკუთრივ სტუდენტების რაოდენობაზე და ასევე, იმ დაწესებულებების სიმრავლეზე, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გადიან. სუპერვაიზორი შესაძლოა იცვლებოდეს, მაგ.: საბაკალავრო პროგრამის მე-3 წელს და მე-4 წელს უძღვებოდეს სხვადასხვა სუპერვაიზორი;

პრაქტიკის კოორდინატორი (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში) - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის კომპონენტის ტექნიკური ნაწილის კოორდინირებაზე

მენტორი - აღმზრდელი-პედაგოგი, რომლის უშუალო მენტორობითაც გადის სტუდენტი პრაქტიკას;

<u>პრაქტიკაში ჩართული მხარეების საქმიანობები მიმოხილულია თავებში - „პრაქტიკის დაგეგმვა“ და „პრაქტიკის ჩატარება, რეფლექსია და შეფასება“.</u>

პრაქტიკაში ჩართული მხარეების მოტივაცია და პროფესიული განვითარება

იმისათვის, რათა სტუდენტური პრაქტიკა წარმატებული იყოს, უმნიშვნელოვანესია მენტორების პროფესიული მზაობა, რაც გულისხმობს ყველა საჭირო პროფესიული კომპეტენციის, მათ შორის სტუდენტებთან მუშაობის (ცოდნის გაზიარების, რეფლექსიის და ა.შ.) შესაბამისი უნარ-ჩვევების ფლობას. ამიტომ აუცილებელია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ იზრუნოს მენტორების წინასწარ მომზადებაზე - უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგების, სემინარების, შეხვედრების ორგანიზება და ა.შ.

პრაქტიკაში ჩართული მხარეებისთვის მოტივაციის ამაღლება და მათი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა დიდწილად განაპირობებს საკუთრივ პრაქტიკის ეფექტურობას. როდესაც ვსაუბრობთ პერსონალის მოტივაციაზე, პირველ რიგში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკის კოორდინატორის (როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ასევე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში), სუპერვაიზორისა და მენტორის საქმიანობა მნიშვნელოვანია იყოს **ანაზღაურებადი**. ანაზღაურება ამ პოზიციებისთვის უნდა გამოიყოს საკუთრივ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, კონკრეტულად კი სკოლამდელი განათლების პროგრამის ბიუჯეტიდან.

გარდა ფინანსური მოტივაციისა, მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკა ზოგადად სარგებლის მომტანი იყოს არა მარტო სტუდენტისათვის, არამედ ყველა ჩართული მხარისთვის, შემდეგი ფორმებით:

- მენტორებმა შეიძლება უფასოდ მიიღონ მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ სემინარებში, ტრენინგებში;

- მენტორებს ჰქონდეთ საშუალება, ისარგებლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (მათ შორის - ელექტრონული ბიბლიოთეკით, ტექნიკური რესურსებით);
- პრაქტიკაში მონაწილე მხარეებს პრიორიტეტი ენიჭებოდეთ სხვადასხვა სახელმწიფო (მაგ., მასწავლებლის სახლი, ბაგა-ბაღების გაერთიანება) თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მიღებისას;
- პროფესიული განვითარების სქემაში (მისი შექმნისა და დამტკიცების შემთხვევაში) შესაბამისად აისახოს და გათვალისწინებული იქნას მენტორის ფაქტორი;
- მუნიციპალიტეტისთვის, ბაგა-ბაღების გაერთიანებისა და სხვა ორგანიზაციებისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს სწორედ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პრაქტიკის მიმღებ თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, ამ დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვადასხვა ტიპის რესურსებით აღჭურვა, მაგ.: ეზოს კეთილმოწყობა, ლიტერატურის შეძენა, სათამაშოების შეძენა და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ როგორც პრაქტიკის კოორდინატორს, ასევე სუპერვაიზორსა და მენტორს, მუდმივად ჰქონდეთ შესაბამისი **პროფესიული განვითარების** შესაძლებლობა, რაც გულისხმობს:

- შესაბამის ტრენინგებში, სემინარებში მონაწილეობას
- სამეცნიერო კვლევების ჩატარებასა და ასევე, კვლევებში ჩართვას
- კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას
- თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსების - საგანმანათლებლო ვიდეოების, პოდკასტების, ვებინარების, ინტერვიუების, ლიტერატურის, სამეცნიერო ჟურნალების - აქტიურად გაცნობასა და დამუშავებას და სხვა.

პრაქტიკაში ჩართული კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა უპირველესად იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციაა, რომელიც ახორციელებს პრაქტიკას საბაკალავრო პროგრამის

ფარგლებში, სწორედ მან უნდა უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობების განხორციელება, შექმნას და შესაბამის კადრებს შესთავაზოს მრავალფეროვანი განმავითარებელი რესურსები, შეუქმნას მოტივაცია და თანამშრომლები მუდმივად წაახალისოს პროფესიული წინსვლისთვის.

იმისათვის, რომ პრაქტიკის პროცესი შეუფერხებლად და ეფექტურად მიმდინარეობდეს, აუცილებელია, თავიდანვე შედგეს თითოეული ჩართული მხარის კოორდინირებული და ეფექტური თანამშრომლობა. ამისათვის საჭიროა, ყველა მხარე აცნობიერებდეს და პირნათლად ასრულებდეს მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს; ასევე მნიშვნელოვანია, რეგულარულად ტარდებოდეს საორიენტაციო/საორგანიზაციო ტიპის შეხვედრები პრაქტიკის კოორდინატორებს, სუპერვაიზორსა და მენტორს შორის, სადაც განხილული იქნება პრაქტიკასთან დაკავშირებული თითოეული დეტალი თუ ამოცანა.

პრაქტიკის პროცესში ირიბად ასევე ჩართულები არიან ის ბავშვები, რომლებთანაც პრაქტიკანტი და მათი მშობლები/მეურვეები მუშაობენ. მნიშვნელოვანია, რომ როგორც ბავშვებმა, ასევე მშობლებმა წინასწარ მიიღონ ინფორმაცია პრაქტიკისა და პრაქტიკანტის შესახებ. ის, თუ როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს, დეტალურადაა განხილული თავში „პრაქტიკის დაგეგმვა“.

თავი 3

პრაქტიკის დაგეგმვა

პრაქტიკის წარმატებით განხორციელების პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს დაგეგმვის ეტაპი. ის, თუ რამდენად შედეგიანი იქნება პრაქტიკა სტუდენტისათვის, დიდწილად განპირობებულია იმით, თუ რამდენად კარგადაა ის დაგეგმილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაქტიკის დაგეგმვაში ჩართულია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პრაქტიკის კოორდინატორები, სუპერვაიზორი, მენტორი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ადმინისტრაცია და თავად სტუდენტიც. საბაკალავრო პროგრამის შექმნის ეტაპზე მუშავდება პრაქტიკის კურსის სილაბუსი, რათა მომზადდეს საფუძველი პრაქტიკის გეგმის შედგენისა და დაწესებულებების შერჩევისთვის. შემდეგი ეტაპია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების იმ დაწესებულების/დაწესებულებების შერჩევა, რომლებშიც შეიძლება ჩატარდეს პრაქტიკა. სასურველია, უნივერსიტეტმა პრაქტიკის კოორდინატორის ჩართულობით შეიმუშაოს და შესაძლებელია დაამტკიცოს კიდეც დაწესებულებების შერჩევის კრიტერიუმები, რათა შერჩევის პროცესი მომავალში გამჭვირვალე და ობიექტური იყოს.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შესარჩევი კრიტერიუმები შეიძლება იყოს:

- ხედვა, მისია, ღირებულებები - მათი თანხვედრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო სკოლამდელი განათლების პროგრამასთან;
- დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაცია: ტრენინგებში მონაწილეობა, პროექტებში ჩართულობა, სტუ-დენტთა პრაქტიკის მიღების გამოცდილება;

- დაწესებულების შესაბამისობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებთან - ხარისხის სტანდარტთან, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტთან და ა.შ.;
- დაწესებულებაში ჯგუფების რაოდენობა (სხვადასხვა ასაკობრივი, შერეული ასაკობრივი ჯგუფი);
- დაწესებულების სერვისით მოსარგებლე ბავშვების პროფილი, მაგ.: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, შშმ ბავშვები, ასევე, მცირე თუ მრავალკონტიგენტიანობა;
- დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი;
- ბაღის ინფრასტრუქტურა, ეზო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსი (ავტორიზაციის სისტემის დანერგვის შემთხვევაში);
- დაწესებულების (პედაგოგების, ადმინისტრაციის) მოტივაცია და მზაობა პრაქტიკისთვის.

შესაძლოა, ამ კრიტერიუმების მიხედვით მომზადდეს კითხვარი და დაკვირვების ფორმა, რომელთა საშუალებითაც მოხდება დაწესებულების შერჩევა; კითხვარი გაეგზავნება იმ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ყველა დაწესებულებას, სადაც მდებარეობს უნივერსიტეტი (ამ პროცესში შეიძლება ჩართული იყოს ბაგა-ბაღების გაერთიანებაც); ამ კითხვარის მონაცემების მიხედვით პრაქტიკის კოორდინატორს შეუძლია მოამზადოს დაწესებულებების ბაზა და შემდგომ აირჩიოს ამ ბაზიდან სასურველი დაწესებულებები; სასურველია, ასეთი ბაზა განახლდეს ყოველწლიურად, აკადემიური წლის დაწყებამდე.

კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ პრაქტიკის კოორდინატორმა პრაქტიკის სუპერვაიზორთან ერთად, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით უნდა განახორციელოს დაწესებულებაში ადგილზე დაკვირვება - ესტუმროს დაწესებულებას, დააკვირდეს როგორ მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, რა რესურსები აქვთ ადგილზე, რა მიდგომებს იყენებს საგანმანათლებლო პერსონალი, როგორია მათი მზაობა პრაქტიკისთვის და ა.შ. დაკვირვებისას შესაძლოა გამოყენებული იქნეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული **ხარისხის სტანდარტის მონიტორინგის**

ინსტრუმენტიც, რათა განისაზღვროს, ხორციელდება თუ არა აღნიშნული სტანდარტი დაწესებულებაში. უმნიშვნელოვანესია ასევე, აღირიცხოს შესაბამისი კადრების, კერძოდ კი აღმზრდელ-პედაგოგების არსებობა დაწესებულებაში - ის, თუ რამდენად კვალიფიციური და გამოცდილი კადრები ჰყავს დაწესებულებას და რამდენად ჯეროვანია მათი მზაობა სტუდენტების პრაქტიკის განხორციელებისთვის. ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმი უნდა იყოს დაწესებულების შერჩევისას.

უმჯობესია, პრაქტიკის მიმღები დაწესებულებების შერჩევა მოხდეს სასწავლო წლის დაწყებამდე და გაფორმდეს მათთან **ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი**, სადაც გაწერილი იქნება პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობები. მემორანდუმის გაფორმების შემდგომ, უნივერსიტეტი (პრაქტიკის კოორდინატორი და სუპერვაიზორი) წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით გასაუბრებისა და პროცესზე დაკვირვების საშუალებით შეარჩევს მენტორებს; ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს:

- განათლება, კვალიფიკაცია, გავლილი ტრენინგები და ა.შ.;
- შესაბამისობა აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიულ სტანდარ-ტთან;
- პრაქტიკის პროცესში ჩართვის მზაობა;
- პრაქტიკის პროცესში ჩართვის მოტივაცია;
- სტუდენტებისთვის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მზაობა;
- თვითგანვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების მოტივაცია;
- რეფლექსიის უნარი.

მას შემდეგ, რაც შეირჩევიან მენტორები, პრაქტიკის სუპერვაიზორი მოამზადებს პრაქტიკის სამუშაო გეგმას და გააცნობს მას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ადმინისტრაციასა და მენტორებს. შესაძლოა საჭირო გახდეს გეგმის მოდიფიკაციაც, მენტორების შემოთავაზებების მიხედვით. გეგმის შეთანხმების შემდგომი ეტაპია სტუდენტების განაწილება. ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით მტკიცდება პრაქტიკაზე გასაგზავნ სტუდენტთა კონტინგენტი.

განაწილების დროს გასათვალისწინებელია, რომ სკოლამდელი დაწესებულების ერთ ჯგუფში ერთდროულად **მაქსიმუმ ორი სტუდენტის** მუშაობაა რეკომენდებული. სტუდენტების განაწილების შემდეგ იგეგმება საორიენტაციო შეხვედრა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში; ამ შეხვედრაზე სტუდენტები ეცნობიან დაწესებულების ადმინისტრაციასა და იმ მენტორებს, რომლებთან ერთადაც უნდა იმუშაონ, იღებენ ინფორმაციას ბაღის მისიის, მიზნების, შინაგანაწესის, ეთიკის ნორმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ, რათა გაითავისონ დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა. ამ შეხვედრის შემდეგ რეკომენდებულია დაიგეგმოს ინდივიდუალური - უშუალოდ სტუდენტისა და მისი მენტორის - საორიენტაციო შეხვედრა; ამ შეხვედრაზე მენტორს შეუძლია დაათვალიერებინოს სტუდენტს დაწესებულება, ჯგუფი, დეტალურად გააცნოს მისი მუშაობის მეთოდები და ის პროგრამა, რომლითაც ჯგუფში ხელმძღვანელობს. ამავე შეხვედრაზე მათ ექნებათ შესაძლებლობა, სიღრმისეულად განიხილონ პრაქტიკის გეგმა და სტუდენტის მოლოდინები. ასეთი შეხვედრები სტუდენტებსაც და მენტორებსაც ეხმარება ერთობლივი მუშაობისთვის პოზიტიური მზაობის მიღწევაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მათი მომავალი აქტივობებისთვის. პრაქტიკის დაწყებამდე აუცილებელია ბავშვებისა და მათი მშობლების/მეურვეების ინფორმირება. მენტორმა ბავშვებს აუცილებლად წინასწარ უნდა აუხსნას, რომ მათ ჯგუფში ეყოლებათ სტუმრები, მოუყვეს, ვინ არიან ისინი, როდის მოვლენ და რა დროს გაატარებენ ჯგუფში, რა მიზანი აქვთ და რას გააკეთებენ. მარტივი ადაპტაციისთვის, მენტორმა შესაძლოა ბავშვებთან ერთად მოიფიქროს რაიმე აქტივობა/თამაში, რომლის საშუალებითაც ბავშვები უკეთ გაიცნობენ სტუდენტებს. ასევე მნიშვნელოვანია მშობლებისთვის/მეურვეებისთვის ამომწურავი ინფორმაციის წინასწარ მიწოდება, კერძოდ - რა პერიოდში განხორციელდება პრაქტიკა, რა მიზანს ემსახურება, რამდენი სტუდენტი იქნება, რას გულისხმობს ჯგუფში მათი მუშაობა და ა.შ. შესაძლოა ეს ინფორმაცია გააზიარონ მშობელთა კრებაზე, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარდება. თუ პრაქტიკა ითვალისწინებს ჯგუფში ფოტო ან ვიდეო გადაღებებს, ასევე აუცილებელია ამის თაობაზე თითოეული მშობლისგან წერილობითი (წინასწარ შედგენილი ფორმით) თანხმობის მიღება.

პრაქტიკის განხორციელების ადგილი

პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებულებების შერჩევის ეტაპზე გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტებმა სასურველია გაიარონ პრაქტიკა სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში, მაგალითად: კერძო და საჯარო, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით დაკომპლექტებულ (მათ შორის 0-2 წლამდე ბავშვების ჯგუფები), შერეული ასაკობრივი ჯგუფების მქონე, განსხვავებული კურიკულუმის მქონე (მაგ., ტყე-ბაღი, ვალდორფის ბაღი და ა.შ.), სოფლისა და ქალაქის, ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებულ და ა.შ. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში. ასეთი მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მრავალმხრივი გამოცდილების მიღებას, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პროფესიული კომპეტენციების განვითარებისთვის.

სტუდენტური პრაქტიკა უმეტეს შემთხვევაში განხორციელდება სკოლამდელიაღზრდისადაგანათლებისკერძოთუსაჯაროდაწესებულებაში,თუმცა, კონკრეტული სილაბუსის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით პრაქტიკაში ჩართული მხარე ასევე შეიძლება იყოს:

- *მუზეუმი;*
- *საბავშვო ბიბლიოთეკა;*
- *საბავშვო (მაგ., თოჯინების) თეატრი;*
- *აღჩეული ინტერვენციის ცენტრი;*
- *ღღის საგანმანათლებლო ცენტრი* და ა.შ.

ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ამ დაწესებულებასთან მემორანდუმის გაფორმება, პრაქტიკის კოორდინატორისა და სუპერვაიზორის ჩართულობით პრაქტიკის გეგმის განსაზღვრა და მენტორის შერჩევა. მნიშვნელოვანია, ამ დაწესებულების წარმომადგენლები გაეცნონ პრაქტიკის გზამკვლევსა და სხვა აუცილებელ რესურსს, რათა პრაქტიკა შეუფერხებლად და შედეგიანად განხორციელდეს.

წინამდებარე გრაფიკში ნაჩვენებია პრაქტიკაში ჩართული ძირითადი მხარეები და მათი საქმიანობები პრაქტიკის დაგეგმვის ეტაპზე.

პრაქტიკაში ჩართული მხარე	საქმიანობა
პრაქტიკის კოორდინატორი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება)	• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პრაქტიკის სუპერვაიზორთან ერთად პრაქტიკის მიმღები დაწესებულებების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა; • პრაქტიკის სუპერვაიზორთან ერთად პრაქტიკის მიმღები დაწესებულებების შესარჩევად კითხვარისა და დაკვირვების ფორმის შედგენა; • შესაბამისი კითხვარის საშუალებით პრაქტიკის მიმღები დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ბაზაში შეყვანა, დამუშავება; • პრაქტიკის სუპერვაიზორთან ერთად დაწესებულებების შესარჩევად ადგილზე ვიზიტების, დაკვირვებების განხორციელება და ინტერვიუების ჩატარება; • პრაქტიკის სუპერვაიზორთან ერთად პრაქტიკის მიმღები დაწესებულებების შერჩევა; • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად თანამშრომლობის მემორანდუმის შედგენა და შესაბამის დაწესებულებებთან გაფორმება; • პრაქტიკაში ჩართული სტუდენტების სიების შედგენა და მათი განაწილება პრაქტიკაში ჩართულ დაწესებულებებზე; • უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტებისთვის საორიენტაციო შეხვედრის ორგანიზება, სადაც განხილული იქნება პრაქტიკის ტექნიკური მხარე, ასევე მოლოდინები და მხარეთა პასუხისმგებლობები; • სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მხრიდან პრაქტიკის კოორდინატორთან ერთად სტუდენტებისთვის საორიენტაციო შეხვედრის ორგანიზება, სადაც სტუდენტები ადგილზე გაეცნობიან პრაქტიკის მიმღები დაწესებულების გარემოს, მენტორებს და ა.შ.; • პრაქტიკასთან დაკავშირებული ტექნიკური და საორგანიზაციო ხასიათის საკითხების მოგვარება.

პრაქტიკის სუპერვაიზორი	• პრაქტიკის სილაბუსიდან გამომდინარე, კურსის ხელმძღვანელთან ერთად პრაქტიკის ტიპის, ადგილის, ხანგრძლივობის განსაზღვრა; • პრაქტიკის სილაბუსიდან გამომდინარე, კურსის ხელმძღვანელთან ერთად პრაქტიკის გეგმის შედგენა; • პრაქტიკის კოორდინატორთან ერთად, პრაქტიკის მიმღები დაწესებულებების/მენტორების შერჩევა; • პრაქტიკის მენტორების მომზადება პრაქტიკისათვის (სემინარები, შეხვედრები, მასალის მიწოდება და ა.შ.); • საორიენტაციო/საორგანიზაციო შეხვედრებში მონაწილეობა და სტუდენტებისა და მენტორებისთვის პრაქტიკის შინაარსთან, ამოცანებთან, მიზნებთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის მიწოდება; • პრაქტიკასთან დაკავშირებული შინაარსობრივი საკითხების კოორდინირება.
სტუდენტი	• პრაქტიკის გზამკვლევის, განაწილებისა და გეგმის გაცნობა; • საორიენტაციო/საორგანიზაციო შეხვედრებში აქტიური მონაწილეობა; • პრაქტიკის მიმღები დაწესებულების შიდა დოკუმენტების - წესდების, შინაგანაწესის, ეთიკისა და ქცევის ნორმების და ა.შ. გაცნობა.
პრაქტიკის კოორდინატორი (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება)	• სტუდენტებისთვის საჭირო მასალის მიწოდება, მაგ.: სკოლამდელი აღზრდისა და დაწესებულების შინაგანაწესი და ქცევისა და ეთიკის ნორმები ა.შ.; • სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში საორიენტაციო/საორგანიზაციო შეხვედრების ორგანიზება სტუდენტებისა და მენტორებისთვის; • მენტორის ხელშეწყობა პრაქტიკისთვის საჭირო გარემოს შექმნაში; • პრაქტიკასთან დაკავშირებული ტექნიკური და საორგანიზაციო ხასიათის საკითხების მოგვარება.
მენტორი	• პრაქტიკის სილაბუსისა და გზამკვლევის გაცნობა; • მონაწილეობა პრაქტიკის გეგმის შედგენაში; • საორიენტაციო/საორგანიზაციო შეხვედრებში მონაწილეობა; • სტუდენტებისთვის საჭირო მასალის მიწოდება - მაგ., სასწავლო კურიკულუმი, სამუშაო გეგმები და ა.შ.; • პრაქტიკისთვის საჭირო გარემოს შექმნა/რესურსების მობილიზება.

თავი 4

პრაქტიკის ჩატარება, რეფლექსია და შეფასება

პრაქტიკის დაგეგმვის შემდეგ დგება უშუალოდ პრაქტიკის განხორციელების ეტაპი. ამ ეტაპზე სტუდენტი და მენტორი ახორციელებენ პრაქტიკის სილაბუსისა და გეგმის შესაბამის აქტივობებს. მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად მაღალი თანამშრომლობის სულისკვეთებით გამოირჩევა გარემო, რომელშიც სტუდენტს პრაქტიკის გავლა უწევს: იგულისხმება როგორც მენტორისა და ადმინისტრაციის მზაობა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მხრივ, ასევე ხელმისაწვდომობა დაწესებულებაში არსებულ ყველა საჭირო რესურსზე. პრაქტიკა ორმხრივი პროცესია - ამ პროცესიდან სარგებელს იღებს როგორც სტუდენტი, ასევე დაწესებულება, კერძოდ კი - მენტორი; მნიშვნელოვანია, რომ მენტორს ჰქონდეს მზაობა როგორც სუპერვიზიის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ასევე სტუდენტისგან ახალი ცოდნის მიღებისთვის. თავის მხრივ სტუდენტიც მზად უნდა იყოს, გაუზიაროს მენტორს ახალი მიდგომები, პრობლემის გადაჭრის მისეული ხერხები და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკა სასარგებლო და საინტერესო იქნება ორივე მხარისთვის. **პრაქტიკის გავლისას სტუდენტის მხრიდან აუცილებელია, პატივი სცეს და დაიცვას: ბაღის შინაგანაწესი, ეთიკის ნორმები, ბავშვთა უფლებები და კონფიდენციალურობა. დაუშვებელია დაწესებულებაში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის (მაგ., ბავშვების შესახებ ინფორმაციის) ან საგანმანათლებლო მიზნით გადაღებული ფოტო და ვიდეომასალის გავრცელება.**

სტუდენტური პრაქტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანა და ახალი პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენაა.

იმისათვის, რათა ეს მიზანი მიღწეული იქნეს, მნიშვნელოვანია მენტორის მაქსიმალური ხელშეწყობა; ქვემოთ მოცემულია ის პრინციპები, რომელთა გათვალისწინებაც მენტორს დაეხმარება სტუდენტური პრაქტიკისას მისი მუშაობის სწორად დაგეგმვასა და განხორციელებაში:

- **შინაარსის სიღრმისეული გაგება**

  მენტორი იყენებს ყველა შესაძლო საშუალებას - მრავალფეროვან მეთოდებს, სტრატეგიებს, რესურსებს, ტექნოლოგიებს - იმისათვის, რათა სტუდენტმა შეძლოს, სიღრმისეულად ჩასწვდეს ამა თუ იმ აქტივობას, გაიგოს მისი მიზანი, ისწავლოს უფრო მეტი კონკრეტული მიმართულებით და პრაქტიკასთან დააკავშიროს უკვე მიღებული თეორიული ცოდნა;

- **თანმიმდევრულობა და უწყვეტობა**

  მენტორის მიერ შემუშავებული გეგმა (წლის გეგმა, კვირის ან დღის გეგმა), დასახული მიზნები და შესაბამისად შერჩეული მეთოდები კარგი მაგალითია სტუდენტისთვის, რათა მას თანმიმდევრული წარმოდგენა შეექმნას სასწავლო პროცესზე და მომავალში შეძლოს, თავადაც დაგეგმოს და განახორციელოს მსგავსი პროცესი; მნიშვნელოვანია, სტუდენტი ხედავდეს როგორც თითოეული აქტივობის მიზანს, ასევე მათ კავშირს ყველა სხვა აქტივობასთან, რაც ჯამში ქმნის უწყვეტ ჯაჭვს მთლიანი პროგრამისა და მისი მიზნების სახით;

- **რეალურ ცხოვრებასთან კავშირი**

  მენტორი სტუდენტებს წაახალისებს იმისთვის, რომ მიღებული ცოდნა, ასევე ჯგუფში გავლილი პრაქტიკა დაუკავშირონ მათ რეალურ ცხოვრებას, საკუთარ გამოცდილებას, მაგ., საკუთარი კულტურული იდენტობის გათვალისწინებით დაგეგმონ კონკრეტული აქტივობა და ა.შ.

- **აქტიური სწავლება**

  მენტორი იყენებს კეთებით სწავლების მიდგომას. ხელს უწყობს კვლევისა და აღმოჩენის პროცესებს; აძლევს საშუალებას სტუდენტებს, იმუშაონ დამოუკიდებლად -

დასვან შეკითხვები და თავადვე მოძებნონ მათზე პასუხები; სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, იმუშაონ სხვადასხვა ტიპის პროექტებზე, ჩაატარონ პრეზენტაციები;

- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება

  მენტორი სტუდენტებისთვის ქმნის გარემოს, სადაც შეიძლება გაჩნდეს ინოვაციური იდეები, სადაც წარმოქმნილ პრობლემას შეიძლება მოუძებნონ გადაჭრის რამდენიმე გზა, სადაც ისმება ღია შეკითხვები და წახალისებულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება;

- რეფლექსია

  მენტორი რეგულარულად აანალიზებს განხორციელებულ აქტივობებს, ინდივიდუალურად თუ მცირე ჯგუფებში სტუდენტებთან ერთად აღწერს, ხსნის, განიხილავს საქმიანობის მიმდინარეობას, შედეგებს, ამოცანებს; სტუდენტებს აძლევს საშუალებას, გააკეთონ თვითშეფასება, გააანალიზონ საკუთარი მოქმედებები, ქმნის რეფლექსიისთვის პოზიტიურ, თანამშრომლობით გარემოს.

რეფლექსია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაქტიკის განხორციელებისას ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია რეფლექსია. მნიშვნელოვანია, რომ მენტორმა ყოველდღიურად, დღის ბოლოს გამოჰყოს თუნდაც მცირე დრო (დაახლოებით 15 წუთი) კონკრეტულად იმ სამუშაო დღის რეფლექსიისთვის და ასევე კვირის ბოლოს გარკვეული დრო კვირის შემაჯამებელი რეფლექსიისთვის. აუცილებელია, სტუდენტს საშუალება ჰქონდეს, თავისი გამოცდილება რეფლექსიის სახით გაუზიაროს სხვა სტუდენტებს, მათთან ერთად იმსჯელოს კონკრეტულ აქტივობებზე, ამოცანებზე და ა.შ. ასევე, მენტორმა სტუდენტთან შეთანხმებით უნდა უზრუნველყოს მცირე ჯგუფებში რეფლექსიის შესაძლებლობა, მაგ. - დაწესებულების სხვა პედაგოგებთან ერთად ან ამავე დაწესებულებაში პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებთან და მათ მენტორებთან ერთად. ის თუ რამდენად სრულფასოვანია რეფლექსია, პირდაპირ აისახება საბოლოოდ პრაქტიკის ეფექტურობაზე.

პრაქტიკის შეფასება

პრაქტიკის ჩატარებისას მნიშვნელოვანია, პრაქტიკის სუპერვაიზორმა განახორციელოს პრაქტიკის მსვლელობის შუალედური მონიტორინგი და მიაწოდოს საკუთარი შეფასება როგორც მენტორს, ასევე სტუდენტს; უშუალოდ პრაქტიკის შეფასება დარეგულირდება პრაქტიკის შესაბამისი ეტაპის სილაბუსით. შეფასების პროცესი სასურველია შედგებოდეს ორი ეტაპისგან - შუალედური და საბოლოო შეფასებისგან. სტუდენტის შუალედური შეფასების პროცესში მონაწილეობას მიიღებენ მენტორი და პრაქტიკის სუპერვაიზორი, ხოლო საბოლოო შეფასების პროცესს განახორციელებს უშუალოდ სუპერვაიზორი. სტუდენტის შეფასება შეიძლება მოხდეს პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით; შესაფასებლად შესაძლოა გამოყენებული იქნეს:

- პროექტი;
- პორტფოლიო;
- პრეზენტაცია;
- რეფერატი;
- წერილობითი ანგარიში;
- თვითშეფასების კითხვარი და სხვა.

რეფლექსიისთვის და ასევე შეფასებისთვის შესაძლოა ასევე გამოყენებული იქნეს ვიდეოჩანაწერები - მაგალითად, სტუდენტის მიერ ჯგუფში განხორციელებული აქტივობის ამსახველი ვიდეოჩანაწერი. შეფასების ერთ-ერთ მეთოდად პრაქტიკის სუპერვაიზორმა შესაძლოა აგრეთვე გამოიყენოს დაკვირვება ჯგუფში სტუდენტის აქტივობაზე.

წინამდებარე ცხრილში ნაჩვენებია პრაქტიკაში ჩართული ძირითადი მხარეები და მათი საქმიანობები პრაქტიკის ჩატარების, რეფლექსიისა და შეფასების ეტაპზე

პრაქტიკაში ჩართული მხარე	საქმიანობა
პრაქტიკის კოორდინატორი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება)	• პრაქტიკის სუპერვაიზორისგან ინფორმაციის მოგროვება პრაქტიკის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით; • საკუთარი (როგორც კოორდინატორის) პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
პრაქტიკის კოორდინატორი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება)	• პრაქტიკის სუპერვაიზორისგან ინფორმაციის მოგროვება პრაქტიკის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით; • საკუთარი (როგორც კოორდინატორის) პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
პრაქტიკის სუპერვაიზორი	• სტუდენტისთვის ინსტრუქციების მიცემა/კონსულტაციების გაწევა და სამუშაო პროცესში ეტაპობრივად ჩართვა; • სტუდენტის პრაქტიკაზე რეგულარული დაკვირვება/ზედამხედველობა; • მენტორისგან ინფორმაციის მიღება პრაქტიკის მიმდინარეობასა და სტუდენტის მონაწილეობასთან დაკავშირდებით; • მონაწილეობა სტუდენტის შეფასებაში; • პრაქტიკის კოორდინატორისთვის ინფორმაციის მიწოდება პრაქტიკის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირდებით; • სტუდენტის პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (შეხვედრები, ტრენინგები და ა. შ.) ჩართვა; • საკუთარი (როგორც სუპერვაიზორის) პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
სტუდენტი	• პრაქტიკის პირნათლად გავლა - პრაქტიკის გეგმის მიხედვით დისციპლინის დაცვა პრაქტიკისას; • სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შინაგანაწესის, ეთიკისა და ქცევის ნორმების დაცვა; • პრაქტიკის მიმდინარეობისას პრობლემების განსაზღვრა, ანალიზი, საკუთარი შეთავაზებების, საპრევენციო რეკომენდაციების ჩამოყალიბება; • ეთიკური ღირებულებებისა და ნორმების გათვალისწინება და დაცვა ბავშვებთან, მენტორებთან, მშობლებთან/მეურვეებთან და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ ყველა პირთან ურთიერთობისას;

	• აქტიური მონაწილეობა პრაქტიკის შემდგომ რეფლექსიის პროცესში (როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური შეხვედრებისას); • პრაქტიკის შეფასებისთვის ანგარიშის, პორტფოლიოს, პრეზენტაციის ან სხვა ფორმით (მოთხოვნის შესაბამისად) წარდგენა.
პრაქტიკის კოორდინატორი (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება)	• მენტორის ხელშეწყობა პრაქტიკისთვის საჭირო ტექნიკურ საკითხებში - შეხვედრების ორგანიზება, რესურსების მობილიზება, მშობლების თანხმობის ფორმების მომზადება და შეგროვება და ა.შ.; • საკუთარი (როგორც კოორდინატორის) პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
მენტორი	• სტუდენტისთვის ინსტრუქციების მიცემა/ კონსულტაციების გაწევა და სამუშაო პროცესში ეტაპობრივად ჩართვა; • სტუდენტისთვის სწავლების/მხარდაჭერის ფორმების აქტიურად გამოყენება; • დაკვირვების ჩანაწერების გაკეთებაში სტუდენტის დახმარება; • სტუდენტზე რეგულარული დაკვირვება/ ზედამხედველობა; • სტუდენტის შეფასებაში მონაწილეობა; • პრაქტიკის სუპერვაიზორისთვის ინფორმაციის მიწოდება პრაქტიკის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირდებით; • პრაქტიკისას სტუდენტებთან ყოველდღიური, რეგულარული რეფლექსიის განხორციელება; • ჯგუფური რეფლექსიის დაგეგმვა და განხორციელება; • პროფესიული შრომითი ორიენტაციის მხარდაჭერა სტუდენტისთვის; • პრაქტიკის ანგარიშის წარდგენის პროცესში მონაწილეობა; • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო აქტივობებში/ ღონისძიებებში მონაწილეობა; • საკუთარი (როგორც მენტორის) გამოცდილების გაზიარება სხვა პედაგოგებისთვის; • საკუთარი (როგორც მენტორის) პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Temple University, College Of Education (2015). Early Childhood Education Practicum Handbook; ECE 3187: Practicum for the Primary Grades.
- Lydia Foong, Mariani Binti, Md Nor, Andrea Nolan (2018). Individual and Collective Reflection: Deepening Early Childhood Pre-service Teachers' Reflective Thinking during Practicum; University of Malaya, Malaysia; Deakin University, Australia.
- University of the West Indies; Open Campus (2016/2017). Practicum Handbook; Bachelor in Education Early Childhood Development & Family Studies.
- Teacher Education in Norway, Marie Brandvoll Haukenes (2017). 'Feedback and Assessment in the New Kindergarten'. Western Norway University of Applied Sciences (HVL), Norway.
- A project in early childhood education in Norway, Marit Alvestad, Monika Röthle (2007). 'Educational Forums: frames for development of professional learning'; University of Stavanger, Norway.
- საქართველოს პარლამენტი (2016). საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (2020). სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლები.